სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 6

ქ. ონი 21. 06. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, სერგო ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, ბიჭიკო კერვალიშვილი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მარკოიშვილი, თორნიკე მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3.,,2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით .

კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მოხდა ყოფილი ბაღის შენობაში დროებით შესახლებული ოჯახების გამოყვანის და მათთვის ბინების დაქირავების ხელშეწყობის მიზნით, ხოლო ყოფილი ბაღის შენობის ადგილზე, მისი დემონტაჟის შემდეგ, აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი.

კომისიის წევრებს შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ.
კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. ,,2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სოფლებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების ხარისხისა და მიწოდების ვადების დაცვის შესახებ და ამ კუთხით არსებულ პრობლემებსა და ხარვეზებზე.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე